# ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა



**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინასწარი ბიუჯეტი 2017 წლისათვის 121 მლნ. ლარით განისაზღვრა.** სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი ვარიანტის მიხედვით, ენერგეტიკის სამინისტროს ბიუჯეტი 2016 წელთან შედარებით 10.4%-ით არის შემცირებული. საბიუჯეტო სახსრების 74.4% (90 მლნ. ლარი) სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე იქნება დახარჯული. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან აღებული კრედიტის საშუალებით იგეგმება. 2017 წლის წინასწარი ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველაზე მასშტაბური პროექტი ახალციხე-ბათუმის 220 კილოვოლტიანი ხაზი უნდა იყოს, რომლის სავარაუდო ღირებულება 45.6 მლნ ლარია. გადამცემი ხაზის მშენებლობის დაფინანსება მსოფლიო ბანკიდან აღებული კრედიტით იგეგმება. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტი წინასწარია და დამტკიცებამდე გადაიხედება.

| ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები | |
|---|---|
| აგვისტოში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში* | 4.3 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე |
| აგვისტოში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში* | 5.7 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე |
| აგვისტოში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი* | 5.2 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე |
| შიდა მოხმარების ცვლილება 8თ16, კვტ/სთ | 3.8% |
| ელექტროენერგიის ექსპორტის ცვლილება 8თ16, კვტ/სთ | -5.7% |
| თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ცვლილება 8თ16, კვტ/სთ | -15.9% |

**საშუალო გაცვლითი კურსი ივლისში GEL/US$ = 2.3187; TRY/US$= 2.9629*
*შენიშვნა: ცხრილში არ არის მითითებული საშუალო საექსპორტო ფასი აგვისტოში; საჭიროა დამატებითი მონაცემები.*

**ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ, პოსტი დატოვა, მისი ადგილი კი ილია ელოშვილმა დაიკავა.** საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო მინისტრები, პრემიერ-მინისტრის გარდა, ვალდებულნი არიან დაკავებული თანამდებობა დატოვონ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაწყვეტენ რომელიმე პარტიის საპარლამენტო სიით არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. იქიდან გამომდინარე, რომ კახა კალაძე საპარლამენტო არჩევნებში პარტია ქართული ოცნების საარჩევნო სიით მონაწილეობდა, მას მინისტრის პოსტის დათმობა მოუწია. კახა კალაძის შემცვლელი, ილია ელოშვილი, 2012 წლიდან ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობას ასრულებდა.

**სემეკ-მა მომსახურების კომერციული ხარისხის წესები (წესები) დაამტკიცა, რომელიც ძალაში 2017 წლის იანვრიდან შევა.** წესების მიზანი კომუნალური მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების ხარისხის ამაღლების წაახალისებაა. სემეკ-მა მომსახურების ხარისხის რეგულირებით, კომუნალური მომასხურების მიმწოდებელ კომპანიებს განუსაზღვრა გარკვეული სტანდარტები, რომლის მიხედვითაც იზომება ისეთი ინდიკატორები, როგორიც არის მომხმარებლის მიერ დაწერილ საჩივარზე და დაერთების განაცხადზე რეაგირების მაქსიმალური პერიოდი და დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების გამო მომსახურების შეწყვეტის შესახებ მომხმარებლის ინფორმირება. წესებით ასევე განსაზღვრულია, რომ თუ დაუგეგმავად შეწყვეტილი მომსახურება 12 საათში არ აღსდგა, კომპანია ვალდებულია კომისიაში წარადგინოს დეტალური ახსნა აღნიშნული ავარიის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ კომპანიამ მომხმარებლის განაცხადზე ან საჩივარზე არ მოახდინა სტანდარტებით განსაზღვრულ დროში რეაგირება, მომხმარებელი ავტომატურად მიიღებს კომპენსაციას სამომხმარებლო ანგარიშზე, საიდანაც შემდგომში კომუნალური მომსახურების გადასახადის დაფარვას შეძლებს. კომპანიის წახალისება დამოკიდებულია სამ ძირითად მიმართულებაზე: მომხმარებლის დროულად გაფრთხილება, მომსახურების დაუგეგმავად შეწყვეტის აღმოფხვრა და ქოლ ცენტრის მიერ მომხმარებლისათვის დროულად პასუხის გაცემა. სამივე მიმართულებით სემეკ-ი განსაზღვრავს მინიმალურ სტანდარტს. დაგეგმილი მაჩვენებლის გაუმჯობესების შემთხვევაში, სემეკ-ი ტარიფის გადათვლისას ითვალისწინებს მონაცემებს და კომპანიას უზრდის რეგულირებადი დანახარჯების ბაზას, რაც კომპანიის ტარიფში და შესაბამისად შემოსავლებში აისახება.

**სექტემბრის ბოლოს ხელი მოეწერა შეთანხმებათა პაკეტს 230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოსადგურის, გარდაბანი-2 მშენებლობის შესახებ.** პროექტის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაციამ (GOGC), საპროექტო კომპანიამ „გარდაბნის თბოსადგური-2“ (გარდაბანი-2) და ბაზრის ოპერატორმა (ესკო). ასევე, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას პროექტირების, შესყიდვისა და მშენებლობის შესახებ (EPC) გარდაბანი-2-სა და ჩინურ კომპანია China Tianchen Engineering Corporation (TCC)-ს შორის. თბოსადგურის ფინანსირებას GOGC ნაწილობრივ საკუთარი სახსრებით აპირებს, ნაწილობრივ კი ჩინური ბანკებიდან აღებული სესხით. მოლაპარაკებები ბანკებთან უკვე დაწყებულია. სესხს საპროექტო კომპანია გარდაბანი-2 აიღებს. თბოსადგურის ექსპლუატაციაში შესვლის სავარაუდო თარიღი 2020 წელია.

**2017 წლის დასაწყისში ქსელს დამატებით 320.1 მგვტ დადგმული სიმძლავრე უნდა შეემატოს.** 4.4 მგვტ-იანი საგურამო ჰეს-ი უკვე სექტემბრის შუა რიცხვებში გაეშვა ექსპლუატაციაში და უმოკლეს ვადაში ქსელს ელექტროენერგიას მიაწვდის. ოქტომბრის ბოლომდე სატესტო რეჟიმში ფუნქციონირება უნდა დაიწყოს 20.7 მგვტ-იანმა ქართლის ქარის ელექტროსადგურმა. ქარის ელექტროსადგურის ღირებულება 30 მლნ. ამერიკული დოლარია, აქედან 24 აშშ დოლარი EBRD-ის სესხით არის დაფინანსებული. ქარის ელექტროსადგურს 10-წლიანი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება აქვს, რომლის მიხედვითაც სრულ წლიურ გამომუშავებას ესკო კვტ/სთ-ზე 6.89 ცენტად შეისყიდის. ასევე, ექსპლუატაციაში უნდა შევიდეს 108 მგვტ. დადგმული სიმძლვრის დარიალი და 187 მგვტ. შუახევი ჰეს-ები. გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება აქვს დარიალის ჰესსაც, რომლის მიხედვითაც ესკო ექვსი თვის განმავლობაში (ნოემბრიდან აპრილის ჩათვლით) გამომუშავებულ ელექტროენერგიას შეისყიდის კილოვატ საათზე 6.5 აშშ ცენტად. შუახევი ჰეს-ისა და ესკო-ს შორის დადებული შეთანხმების დეტალები ჯერჯერობით კონფიდენციალურია. აღსანიშნავია, რომ ყველა ახლადაშენებულ ჰეს-ს აქვს პრიორიტეტული დაშვება საექსპორტო ხაზზე თურქეთის მიმართულებით. ამ წლის საექსპორტო სიმძლავრე ზაფხულის თვეებში ათვისებული იყო ფარავანი ჰეს-ის მიერ. იმ შემთხვევაში თუ დამატებით 320.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰეს-ები გადაწყვეტენ ზაფხულის ჭარბი ელექტროენერგია თურქეთში გაიტანონ, თურქეთის მხრიდან დაწესებული ლიმიტი ზაფხულის თვეებში საექსპორტო სიმძლავრეზე პრობლემატური გახდება, თუ თურქეთის მხრიდან არ მოიხსნა შეზღუდვა გასატან სიმძლავრეზე.

**ნინო პაპავა**
საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693
**თამარ ქურდაძე**
ანალიტიკოსი | tamarkurdadze@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

**Siemens Austria-მ საქართველოსათვის სტრატეგიულად ერთერთი უმნიშვნელოვანესი ქვესადგურის, ქსანის, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა.** პროექტის ღირებულება 9,9 მლნ ევრო იყო და აზიის განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი სესხით დაფინანსდა. ქსანი ქართული ენერგოსისტემის ერთერთი საკვანძო 500/220 კილოვოლტიანი ქვესადგურია, რომელიც რამდენიმე სტრატეგიულ მაღალ და საშუალო ძაბვის ხაზებს ემსახურება, მათ შორის 500 კილოვოლტიან ხაზებს ქართლი-1 (ქსანი-გარდაბანი), ქართლი-2 (ზესტაფონი-ქსანი) და მუხრანი (ქსანი-მარნეული).

**2016 წლის სექტემბერში ბალაში შევიდა საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ენერგოსექტორში თანამშრომლობის შესახებ.** ხელშეკრულება 20-წლიანია და ელექტროენერგიის რეგიონალური ბაზრისა და ტრანს-სასაზღვრო გადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარებას ეხება. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია 400 კილოვოლტიანი ახალციხე-თორთუმისა და 150 კილოვოლტიანი ბათუმი-მურატლის ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, როგორც ტრანს-სასაზღვრო გადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საკვანძო პროექტების. ხელშეკრულება ასევე ეხება ენერგეტიკის სექტორში გამოცდილების გაზიარებასა და განახლებადი ენერგიის განვითარების ხელშეწყობას. ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელმაც 2016 წლის ბოლომდე უნდა წარადგინოს სამოქმედო გეგმა საქართველოსა და თურქეთის თანამშრომლობის შესახებ ენერგეტიკის სფეროში. სამოქმედო გეგმა ორიენტირებული იქნება თურქეთსა და საქართველოს შორის ელექტროენერგიით ვაჭრობის ხელშეწყობაზე. მათ შორის განიხილება გრძელვადიანი ხელშეკრულებების შეთავაზების შემუშავება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ENTSO-E სტანდარტებთან და შესაძლებლობას მისცემს ქართველ მწარმოებლებს გრძელვადიანი ხელშეკრულებები დადონ თურქ მყიდველებთან. ხელშეკრულების მიხედვით, საქართველო და თურქეთი ასევე იმუშავებენ საექსპორტო სიმძლავრის აუქციონის სინქრონიზაციაზე.

## ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი

**აგვისტოში შიდა მოხმარება წლიურად 8.1%-ით არის გაზრდილი.** ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები გამანაწილებელი ლიცენზიანტების მიერ გაზრდილი მოხმარება იყო. გამანაწილებელი ლიცენზიანტების მოხმარება აგვისტოში 7.2%-ით არის გაზრდილი, დიდწილად თბილისის მოხმარების მნიშვნელოვანი ზრდის ხარჯზე (+22.3% წ/წ). ენერგო-პროს მომხმარებელთა მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის რაოდენობა თითქმის არ გაზრდილა (+0.3% წ/წ), კახეთის ენერგოდისტრიბუციის კი წლიურად 6.4%-ით გაიზარდა. პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია წლიურად 11.3%-ით არის გაზრდილი, თუმცა 2015 წლის აგვისტოს საკმაოდ დაბალი ბაზიდან (-53.6% წ/წ). პირდაპირი მომხმარებლების მოხმარება დიდწილად ჯორჯიან მანგანეზის ხარჯზე გაიზარდა (+25.9% წ/წ), თუმცა კომპანიის მოხმარება ჯერ კიდევ 41.9%-ით ჩამორჩება 2014 წლის აგვისტოს დონეს. აფხაზეთის რეგიონის მოხმარება ივლისში წლიურად 12.9%-ით გაიზარდა. აგვისტოში ელექტროენერგიის ექსპორტი გაიზარდა წლიურად 13.3%-ით, ერთადერთი იმპორტიორი კი თურქეთი იყო. GCAT-ის (სიმძლავრის აუქციონი) მონაცემებზე დაყრდნობით, საექსპორტო მოცულობა მთლიანად ჯორჯია ურბან ენერჯის მიერ გატანილი ელექტროენერგიით შეივსო. აგვისტოში აღსანიშნავია მნიშვნელოვანი მოცულობის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით (138.7 გვტ/სთ). ტრანზიტიდან შემოსული თანხა მთლიანად GSE-ს ერიცხება.

**გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ/სთ**




*წყარო: ესკო*

**გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარება, აფხაზეთის რეგიონი (გვტ/სთ)**




*წყარო: ესკო*

**შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება 2016 წლის აგვისტოში დიდწილად ჰეს-ების მიერ წარმოებული ელექტროენერგიით მოხდა.** შიდა წარმოება წლიურად 11.0%-ით გაიზარდა. ენგურის და ვარდნილის მოხმარება გაზრდილია 16.3% წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სხვა რეგულირებული რეგულირებული ჰეს-ებისა კი 17.5%-ით. დერეგულირებული ჰეს-ების წარმოება წინა წლის აგვისტოსთან შედარებით გაიზარდა 5.6%-ით. თბოსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგია შემცირდა 33.9%-ით წინა წლის აგვისტოსთან შედარებით, რადგან საკმარისი მოცულობის ჰიდროგენერაცია იყო ქსელში. თბოსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის 76.0% გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოსადგურმა გამოიმუშავა (2.8 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე), დანარჩენი კი G-Power-მა (3.7 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე). გარანტირებული სიმძლავრე ქსელს გარდაბნის თბოსადგურმა (31 დღე) და მესამე (31 დღე) და მეოთხე ბლოკებმა (2 დღე) მიაწოდეს. მეცხრე ბლოკი და G-Power არ იყვნენ ჩართული სარეზერვო რეჟიმში. გარანტირებული სიმძლავრის გადასახადმა აგვისტოში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 361.3%-ით მოიმატა და 0.71 აშშ ცენტი შეადგინა კვტ/სთ-ზე.

**გრაფიკი 3: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ/სთ**




*წყარო: ესკო*

**გრაფიკი 4: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ/სთ**




*წყარო: ესკო*

## ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში

**ელექტროენერგიის ფასი თურქეთში ქართულ ბაზარზე საბალანსო ელექტროენერგიის ფასზე მაღალი იყო, თუმცა გასული წლის აგვისტოსთან შედარებით არ შეცვლილა.** საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში 26.7%-ით შემცირდა და კვტ/სთ-ზე 4.3 აშშ ცენტი შეადგინა, თურქულ ბაზარზე ელექტროენერგიის ფასი კი 5.7 აშშ ცენტი იყო. 2016 წლის აგვისტოში საბალანსო ბაზარზე მთლიანი ელექტროენერგიის მხოლოდ 3.2% ივაჭრებოდა, დანარჩენი ვაჭრობა კი ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა. იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი 18.2%-ით შემცირდა და კვტ/სთ-ზე 5.2 აშშ ცენტი შეადგინა. იმპორტირებული ელექტროენერგიის 100% (10.5 გვტ/სთ) აზერბაიჯანიდან შემოვიდა.

**გრაფიკი 5: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე**




*წყარო: ესკო, EPIAS*

**გრაფიკი 6: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე**




*წყარო: ესკო, საქსტატი*
*შენიშვნა: გრაფიკზე არ არის მითითებული საშუალო საექსპორტო ფასი აგვისტოში; საჭიროა დამატებითი მონაცემები.*

# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამომწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი**
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

**ეკონომისტი**
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

**ეკონომისტი**
ალიმ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

**უფროსი ასოცირებული ანალიტიკოსი**
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**
დავით ნინიკელაშვილი | dninikelashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**
დავით ქუტიძე | dkutidze@gt.ge

**ანალიტიკოსი**
თამარ ქურდაძე | tamarkurdadze@gt.ge

**გალტ ენდ თაგარტი**
**მისამართი:** აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
**ტელ:** + (995) 32 2401 111
**ელ. ფოსტა:** research@gt.ge